



**მწვანე ალტერნატივას პოზიცია**  
**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით**

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ ა.წ. 17 მარტს მიიღო დადგენილებები, რომლებითაც ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების უფლებამოსილება ჩამოერთვა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა არის სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილებებში ასეთი ცვლილების ნამდვილი მიზეზი - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში შიდაუწყებრივი ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის სურვილი, თუ გარემოსდაცვითი მოთხოვნების კიდევ უფრო უფლებელყოფის განზრახვა. ისევე როგორც ბოლო წლებში განხორციელებული სხვა ცვლილებები, ეს ცვლილებაც განხორციელდა საზოგადოების ინფორმირებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე. როგორც პრაქტიკამ არაერთხელ ცხადყო, ამგვარად მიღებული გადაწყვეტილებები არ არის დაზღვეული შეცდომებისგან, რომელთა აღმოფხვრა ბევრად უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ვიდრე დაჩქარებული და ბოლომდე გაუთვლელი გადაწყვეტილებით მიღებული ხანმოკლე და ერთჯერადი სარგებელი.

მწვანე ალტერნატივა იტოვებს უფლებას, მოგვიანებით გამოთქვას თავისი მოსაზრებები თითოეულ მიღებულ აქტთან დაკავშირებით, მაგრამ ამავადროულად ვალდებულად თვლის თავს, გამოხატოს თავისი პოზიცია მიღებული გადაწყვეტილების პრინციპული მიზანშეწონილობის და იმ აუცილებელი ქმედებების თაობაზე, რომლებიც უნდა მოჰყვეს საქართველოს მთავრობის ამ გადაწყვეტილებას.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირება (ლიცენზიანტისთვის სარგებლობის უფლების მინიჭება) დღემდე განეკუთვნებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციას. სამინისტრო ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიებს გასცემდა აუქციონის მეშვეობით. გარდა სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა, სამინისტროს კომპეტენციაში შედის ასევე გარემოს დაცვის უზრუნველმყოფი ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა ბუნებრივი რესურსების დაცვა, გარემოს დაბინძურების კონტროლი და გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი, გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი და სხვა.

ის, ვინც თვალყურს ადევნებდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქმიანობას უკანასკნელ წლებში, ადვილად შეამჩნევდა, რომ სამინისტროს ყველა ქმედება მიმართული იყო სარგებლობის უფლების გაყიდვის გზით ბუნებრივი რესურსების ეკონომიკურ ბრუნვაში მაქსიმალურ ჩართვაზე. ამის გამო, ნებისთუ უნებლიეთ, სამინისტრო არასრულფასოვნად ახორციელებდა მის სხვა ფუნქციებს და ზოგ შემთხვევაში, ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს შექმნის არგუმენტით, მიზანმიმართულად, ყოველგვარი დასაბუთების და საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე, აკნინებდა გარემოს დაცვის უზრუნველმყოფ ინსტრუმენტებს.

აღნიშნულის სადემონსტრაციოდ საკმარისია თუნდაც გავიხსენოთ გარემოსა და მოსახლეობაზე განსაკუთრებული ზეგავლენის მქონე საქმიანობების რეგულირებაში

განხორციელებული ცვლილებები.<sup>1</sup> ამასთან, სამინისტროს წლიურ ანგარიშებში უწყების წარმატების საზომად განიხილება არა წყლისა და ჰაერის გაუმჯობესებული ან გაუარესებული ხარისხი, ანდა შენარჩუნებული ან პირიქით, დეგრადირებული ბიომრავალფეროვნება, არამედ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გაყიდული ლიცენზიების რაოდენობა და ამ გზით ბიუჯეტში შესული თანხა. თვით ისეთი კონსერვაციული პროექტებიც კი, როგორცაა დაცული ტერიტორიების გაფართოება, წარმოდგენილია არა როგორც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისაკენ მიმართული ქმედება, არამედ როგორც ტურიზმის განვითარებისა და ამ გზით შემოსავლების მიღების საშუალება. სამინისტროს სავიზიტო ბარათი გახდა „დააბანდე წიაღისეულში“, რაც შორდება ცივილიზებულ სამყაროში მიღებულ წარმოდგენას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების რეგულირების მეთოდებზე.<sup>2</sup> შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად, დღესდღეობით გარემოს დაცვის უზრუნველყოფის ფუნქცია სამინისტროს დაკარგული აქვს და მხოლოდ გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ განხორციელებული სადამსჯელო ზომებით შემოიფარგლება. თუმცა, აღნიშნულიც საკმარისად შეზღუდულია სალიცენზიო და სანებართვო პირობებში გარემოსდაცვითი ვალდებულებების არასათანადოდ ასახვის გამო.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების ფუნქცია სამინისტროს იმ დროიდან აქვს, როდესაც სარგებლობის უფლების აუქციონების გზით გაყიდვის სისტემა არ არსებობდა, ლიცენზიები კი გაიცემოდა სატენდერო წესით, სამინისტროში არსებული დარგობრივი საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე. იმ დროს სამინისტროსთვის ლიცენზირების ფუნქციის მინიჭება გამართლებული იყო, ვინაიდან ასეთი სახის საბჭო სწორედ დარგობრივ სამინისტროში თუ დეპარტამენტში უნდა ყოფილიყო.

დღეს სრულიად ნათელია, რომ ეკონომიკური ინტერესი მნიშვნელოვნად პრევალირებს გარემოსდაცვით ინტერესებზე და უწყებამ, რომლის პირდაპირი ფუნქცია გარემოს დაცვის სახელმწიფო უზრუნველყოფაა, თანდათან დაკარგა თავისი პირველადი როლი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმახორციელებელი “შტოს” ნაწილად იქცა. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, საგანგაშოდ არ მიგვაჩნია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლების გაყიდვის ფუნქციის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადატანა.<sup>3</sup> ჩვენი აზრით, ეს ცვლილება, თუ მას მოჰყვება მართვის გარემოსდაცვითი ინსტრუმენტების გაძლიერება (რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა ეს წინმსწრებად განხორციელებულიყო), შესაძლებელია, დადებითადაც ჩაითვალოს, ვინაიდან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების ტვირთი და პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების სისწორეზე დაეკისრება არამარტო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, არამედ უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ანუ ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელიც რეალურად იღებს ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებებს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია საქართველოს მთავრობის მოტივაცია. ამდენად, აქ კვლავ გავიმეორებთ, რომ საქართველოს მთავრობის

<sup>1</sup> ვგულისხმობთ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობებს, რომელთა რაოდენობა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მკვეთრად შემცირდა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, რომლის გაცემაც ჯერ კიდევ რეგულირებად საქმიანობებზე დღეს აბსოლუტურ ფორმალობადაა ქცეული.

<sup>2</sup> შეიქმნა ასევე ცალკე ვებ-გვერდი „დააბანდე სატყეო სექტორში“, იხ. <http://www.investinforesst.ge/>

<sup>3</sup> ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ აუქციონის საწყისი ფასის დადგენის, აუქციონების გამართვისა და ლიცენზიების გაცემის ფუნქციას და არა მაგალითად, სატყეო დეპარტამენტის ან გარემოსდაცვითი ნებართვების გამცემი სამსახურის გადატანას ეკონომიკური განვითარების სამინისტროში

გადაწყვეტილება მისასაღმებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილებების ამგვარ გადანაწილებას უახლოეს მომავალში თან მოჰყვება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრიორიტეტების ცვლილება და მართვის გარემოსდაცვითი მექანიზმების გაუმჯობესება და გაძლიერება, რაშიც იგულისხმება (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგი ქმედებები:<sup>4</sup>

- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპის ნათლად და დეტალურად განსაზღვრა;
- “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების დადგენაში, ლიცენზიების გაცემაში და მათი შესრულების კონტროლში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ადეკვატურ და დროულ მონაწილეობას;
- იგივე მოთხოვნა უნდა გავრცელდეს საზოგადოების მონაწილეობაზეც - აუცილებელია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის ეფექტური მექანიზმების დადგენა და თანმიმდევრული შესრულება;
- სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი იმ საქმიანობების ჩამონათვალის გადასინჯვა (დახვეწა, შევსება), რომლებიც მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენენ გარემოზე და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურის დახვეწა;
- სალიცენზიო პირობებში გარემოსდაცვითი ვალდებულებების დაწვრილებით (და არა ფორმალურად, როგორც ახლა ხდება) ჩამოყალიბება;
- ლიცენზიებითა და ნებართვებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის გამკაცრება.

ზემოაღნიშნული ქმედებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩვენ საფუძველი გვექნება ვივარაუდოთ, რომ გატარებული ცვლილებები მიმართულია დღემდე არსებული ვითარების გამყარების და გარემოსდაცვითი უწყებისა და მართვის გარემოსდაცვითი მექანიზმების კიდევ უფრო დასუსტებისკენ. ამ ეჭვის გაჩენის საფუძველს უკვე იძლევა თუნდაც ის გარემოება, რომ სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილებების ცვლილება განხორციელდა მთავრობის ახალი კაბინეტისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მომუშავე ლიცენზირებასთან თანამდებობრივად დაკავშირებული პიროვნებების ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადანაცვლების შემდეგ.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილებებში განხორციელებულმა ამ ცვლილებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ამა თუ იმ სფეროში სახელმწიფოს სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების აუცილებლობა. ასეთი დოკუმენტების არსებობისა და მათი თანამიმდევრული შესრულების შემთხვევაში, მთავრობის შიგნით გატარებული სტრუქტურული ცვლილებები ბევრად უფრო უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, ვინაიდან ისინი არ შეცვლიდნენ საერთო მიზანს და პირიქით, მის ეფექტურად მიღწევას მოემსახურებოდნენ.

---

<sup>4</sup> ჩამოთვლილი ქმედებები სრულიად შეესაბამება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებსა და ქვეყნის მიერ აღიარებულ პრიორიტეტებს ევროკავშირთან მიმართებაში და ამდენად, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, მიუხედავად იმისა, რომელი უწყება განახორციელებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირებას.